




ხაშურის მოახბე



№23(347)

27 ივნისი, ორშაბათი,

2022 წელი

მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია

23 ივნისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ზოგადი განათლების რეფორმის გუნდის ორგანიზებით, ქალაქ ხაშურის 1 საჯარო სკოლაში, მასწავლებელთა



რაიონული კონფერენცია გაიმართა;

კონფერენცია გახსნა ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა-ზვიად გოგუაძემ;

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფიზიკის მიმართულების ექსპერტმა, მოწვეულმა სტუმარმა ბატონმა გიორგი ლომიძემ, პროექტის ლიდერობის ექსპერტმა ქალბატონმა მაია ბაქრაძემ, სასკოლო კურიკულუმების დანერგვისა და განვითარების კოორდინატორმა ქალბატონმა, თინა ძულიაშვილმა და მხარდამჭერი ჯგუფის წევრმა ექსპერტებმა

კონფერენცია წარმოართა სექციური მუშაობის რეჟიმში, სადაც 48 მომხსენებელმა მასწავლებელმა, წარმოადგინა იმის ანალიზი, თუ რამდენად შეუწყო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა ხელი კონკრეტულ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში ჩართულობაში და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაში;

გარდა ამისა, სკოლის ლიდერებმა წარადგინეს სასკოლო პროექტების ანგარიში, სადაც გააანალიზეს, თუ როგორ შეუწყო ხელი სასკოლო პროექტებმა სასკოლო კულტურის განვითარებას;

რაიონულ კონფერენციაზე შეირჩა თემები, რომლებიც გაიგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ივლისის თვეში გასამართ ეროვნულ კონფერენციაზე გასატანად;

საკონფერენციო თემების მომზადებაში სკოლებს დახმარება გაუწია ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდამჭერმა ჯგუფმა;



- მუნიციპალიტეტის საკრებულო -

კომისიის სხდომა

22 ივნისს, გაიმართა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა, მიხეილ ჯანაშვილის თავმჯდომარეობით. კომისიამ განიხილა სამი საკითხი:

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმათელეთში მცხოვრები მოქალაქეების ერთობლივი განცხადება უსახელო ქუჩისათვის (სოფ. ფონის გადასახვევი) „გიორგობის“ ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით.

სოფელ ქვიშხეთის შესასვლელის ხეივანისათვის ქართველი საზოგადო მოღვაწის ნინო ყიფიანის სახელის მინიჭების შესახებ.

აგრეთვე, მოისმინა მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის 5 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში, მომხსენებელი - თამაზ ლომიძე. განხილვის დროს ყურადღება გამახვილდა ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ 2019-2021 წლების ეფექტიანობის აუდიტორულ შემოწმებაზე, კერძოდ, წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.



სამუშაო შეხვედრა: „ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი ძლიერი დემოკრატიისთვის“, პროექტის ფარგლებში

„მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის“ წარმომადგენლებმა კოტე კანდელაკმა და დავით ლოსაბერიძემ პროექტის - „ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი ძლიერი დემოკრატიისთვის“ ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს წევრები: მარინე დიდუბულიძე, თათია ბროლიძე, ირინე გელაშვილი, ეკატერინე პაპუაშვილი და აპარატის სპეციალისტები.

პროექტის მიზანს წარმოადგენს სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება, ამომრჩევლის და მის არჩეულ საკრებულოს წევრს შორის ეფექტური, ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხების დანერგვა და კარგი პრაქტიკის დამკვიდრება.

პროექტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის მხარდაჭერით ხორციელდება.



სოფ. ხოვლეს ქართულ-ავსტრიული არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები - ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს კონტაქტები ვიქონიოთ არქეოლოგ-მკვლევართა ძალიან საინტერესო წარმომადგენლებთან და მონაწილეობა მივიღოთ არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტის განხორციელებაში. მაგალითისთვის მოვიყვანთ ჩვენს მონაწილეობას გერმანიის ქ. ბოხუმში გამართულ საერთაშორისო გამოფენას: „განძეულია ოქროს საწმისის ქვეყნიდან“ (2001-2002 წ.წ.), სადაც საქართველოდან წარმოდგენილ არტეფაქტთა 1/3 ჩვენი მუზეუმის ექსპონატები იყო. ხაშურის ადგილ გორათზე აღმოჩენილი თიხის ქაღალღთა-სასმისი წარმოდგენილი იყო საფრანგეთში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „საქართველო-მეღვინეობის აკვანი“ (2017 წ.). ჩვენი ექსპონატების ძალიან მცირე ნაწილი, დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე, დღესაც წარმოდგენილია ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლის მუზეუმის კავკასიის განყოფილების ექსპოზიციაში, კავკასიის არქეოლოგიის უკეთ წარმოჩენისა და



განახლებარომელიც ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა 1954 წლიდან 1961 წლამდე და გამოვლენილი იყო რვა ფენისგან შემდგარი ნამოსახლარის ნაწილი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. მე-15 - მე-4 საუკუნეებით. საქართველოს მხრიდან, 2012 წლიდან დღემდე, ძეგლზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ დავით მუსხელიშვილი, გურამ გრიგოლია, ვახტანგ ლიჩელი და დოქტორანტები და მაგისტრანტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ხოვლეგორას ნამოსახლარის მე-8 და მე-7 ჰორიზონტებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა თარიღდება ძვ. წ. მე-15 - მე-14 საუკუნეებით, ხოლო ხაშურის სოფ. წაღვლის „მიქელაანთ ვერხვების“ სამაროვანი ძვ. წ. მე-17 - მე-15 საუკუნეებით, რაც არის გარდამავალი პერიოდი შუადახლო აღმოსავლეთის ხანაზე. ორივე ძეგლზე დასტურდება ძვ. წ. მე-15 საუკუნით დათარიღებული არქეოლოგიური მასალა. ხოვლეს არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებს გაუჩნდათ სრულიად ბუნებრივი ინტერესი, ენახათ ჩვენს მუზეუმში დაცული სოფ. წაღვლის „მიქელაანთ ვერხვების“ სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, განსაკუთრებით, მე-15 საუკუნით დათარიღებული.



შესწავლის მიზნით. სოფ. წაღვლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მრავალფეროვანი ნამოსახლარ გორათზე განხორციელებულმა ქართულ-იტალიურმა პროექტმა კი იტალიის ქ. ვენეციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტთან დაგვიამოვრა. მათ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარეს წაღვლის გორა-ნამოსახლარზე, ადრე ბრინჯაოს ფენების კვლევებისთვის 2008-2012 წლებში. ექსპედიციის ხელმძღვანელი, ქალბატონი ელენა როვა და წევრები: მირკო ფურლანეტო, ელეონორა კარმინატი, ჯულია ნობილი და სხვანი დღემდე ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მხურვალე მეგობრები და გულშემატკივრები არიან.

ა. წ. 21 ივნისს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს სოფ. ხოვლეში (კასპის მუნიციპალიტეტი) მიმდინარე ქართულ-ავსტრიული არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები ესტუმრნენ. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ავსტრიის ქალაქ ინსბრუკის უნივერსიტეტის ანტიკური ისტორიისა და ძველი ახლო აღმოსავლეთის კვლევების ინსტიტუტის დოქტორი, არქეოლოგი ვალტერ ქუნთნერი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის მაგისტრანტი, საბა ბუგიაიანიშვილი და ქ. ინსბრუკის უნივერსიტეტის მაგისტრანტები: ფერდინანდ ქლეიჰონსი, ილარია ოტავიანი, პასკალ ქოსიტსი. ქართულ-ავსტრიული არქეოლოგიური ექსპედიცია ხოვლეგორას ნამოსახლარზე 2012 წლიდან მუშაობს. თავდაპირველად, მათი მუშაობის მიზანი იყო „ძველი გათხრების“

ხოვლეს ქართულ-ავსტრიული არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუდმივმოქმედი ეთნოგრაფიული ექსპოზიცია და დროებითი გამოფენა „ხაშურის რაიონი პირველი რესპუბლიკის პერიოდში“ (1918-1921 წლები). მკვლევარები ინტერესით გაეცნენ სოფ. წაღვლის „მიქელაანთ ვერხვების“ სამაროვნის 150 სამარხში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მასალას (ბრინჯაოს შრომისა და ბრძოლის იარაღები, ნახევრადძვირფასი ქვებისგან დამზადებული სამკაულები და სხვა). განსაკუთრებით მათი ინტერესი აღნიშნული ძეგლის მრავალრიცხოვანმა კერამიკულმა მასალამ მიიპყრო, რომელიც უკვე, მუზეუმის ახლადრეაბილიტირებულ საცავებშია განთავსებული. მათი ინტერესის სფეროში მოექცა სოფ. წაღვლთან, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კილომეტრზე, ე. წ. „ზაქას ტყეში“ მდებარე საციხურის გორა-ნამოსახლარი, რომელიც თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით. მუზეუმში შედგა ძალიან საინტერესო დისკუსია, რის შემდეგაც მივედით დასკვნამდე, რომ აღნიშნულ მასალაზე ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ. ამ თანამშრომლობაში, რასაკვირველია, ჩართული იქნება ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ბატონი ბიძინა მურვანიძე. მასთან კონტაქტმა სამომავლო თანამშრომლობის სრულიად ახალი კონტურები გამოაჩინა.

სტუმრების დაინტერესება იმდენად დიდი იყო, რომ გადაწყვიტეს აღნიშნული ძეგლების ლოკაციების ადგილზე გაცნობა. მაშინვე დაიგეგმა და განხორციელდა ძეგლებზე მივლინება, რათა მომხდარიყო არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები (ფოტოგრაფირება, აეროგადაღებები „დრონით“). ვიმყოფებოდით სოფ. წაღვლში და ადგილ საციხურის გორაზე, სადაც, მიწის ზედაპირზე საინტერესო კერამიკული ჭურჭლის ნატეხები შეროვდა.

ბოლოს, დღის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე გამოიკვეთა შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და სოფ. ხოვლეს ქართულ-ავსტრიულ არქეოლოგიურ ექსპედიციას შორის. მათ დიდი ინტერესი გამოხატეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიმართ, რომელიც მუზეუმში შემოტანილია როგორც გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევების შედეგად, ისე შემთხვევითი აღმოჩენების გზით. ისინი გაეცნენ ზეპირ ინფორმაციას ხაშურის ადგილ გორათზე შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების, სოფ. ხცისის სამარხ №1-ის არქეოლოგიური მასალის, სოფ. წაღვლის მრავალფეროვანი ნამოსახლარისა და სამაროვნის შესახებ.

სტუმრებს გადავეცით ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კატალოგური ტიპის გამოცემების ეგზემპლარები („ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების“ გზამკვლევი, „მიძივები სოფ. წაღვლის „მიქელაანთ ვერხვების“ სამაროვნიდან“).


სტუმრები ნასიამოვნები გაბრუნდნენ სოფ. ხოვლეში. მართალია, ისინი თვის ბოლოს უკვე ამთავრებენ წლევიანდელ სამუშაოებს ველზე, მაგრამ ვფიქრობთ, მომავალი წლიდან ჩვენი ურთიერთობები სრულიად ახალ ფაზაში შევა.



დიდი ხაშურელები

ძმები, რომლებმაც ულამაზესი სიმღერები აჩუქეს საქართველოს


“დიდი ხაშურელები”, ამ რუბრიკით, ადრეც არაერთხელ გავიხსენეთ ის ბრწყინვალე ადამიანები, რომლებმაც ჩვენს ქალაქში, ამ მაღლიან მიწაზე აიღვეს ფეხი, აქ ეზიარენ ანას და ბანას და შემდეგ, თავისი ღვაწლით



თუ შემოქმედებით, მთელ საქართველოს გააცნეს თავი, გააცნეს და შეაყვარეს. დღეს, ძმები გიგაურების შესახებ გვინდა გიამბოთ. ძმების, რომლებმაც ულამაზესი შემოქმედება დაუტოვეს ქართველ ხალხს და ისეთი სიმღერები აჩუქეს, ასი წლის შემდეგაც, მთელი გულით რომ იმღერებს რიგითი ქართველი.

ძმები-ნოდარ და ირაკლი გიგაურები ხაშურში დაიბადნენ. მამა მუსიკოსი იყო და არც არავის გააკვირვებია, რომ მამის გენი პატარებსაც დაჰყვავდა და მათი მუსიკით დაინტერესებდა ადრეული ასაკიდანვე დაიწყო.

ფოფილი კინოთეატრი “რუსთაველის” უკან, პატარა, კოპწია უბანში გაიარა მათმა ყმაწვილობის დროს. პირველი მეგობრებიც აქ შეიძინეს და არც არასდროს გაუწყვეტავთ მათთან ურთიერთობა. მართალია, სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისი გახდა მათი სახლი, მაგრამ როგორც ირაკლი გიგაური ხშირად იტყობდა, ხაშური იმ ქალაქად დარჩა მისთვის, რომელსაც არავითარ საგანძურში არ გაცვლიდა და რომელიც მუდამ დღესასწაული იყო მისთვის. ძველმა მეგობრებმაც იცოდნენ ძმების ასეთი დამოკიდებულება ჩვენი ქალაქისადმი და შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ ისინი არ მოეწვიათ. მოწვევა ერთგვარი გადაჭარბებაა ამ კონტექსტში, დაურეკავდნენ, აუხსნიდნენ სიტუაციას და ისინიც სიხარულით უბრუნდებოდნენ მშობლიურ ქალაქს. აი, მერე იწყებოდა, თუ იწყებოდა. ერთდღიანი “ვიზიტი” ერთი კვირაც გაგრძელდებოდა და იყო დიდი გადაპატიჟებადმოპატიჟება. სუფრაზე ხომ შეუდარებლები იყვნენ, თამაშობა ცალკე თემა და როცა მღეროდნენ, ყველა პრობლემა გავიწყდებოდა კაცსო-ისხენებზე.



ორივემ კონსერვატორია დაამთავრა. დიდი შემოქმედებისკენ მანა-მდეც ჰქონდათ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ კონსერვატორიის შემდეგ, მათი შემოქმედება მთელმა ქვეყანამ გაიცნო და შეიყვარა. ნოდარ გიგაური ავტორია ორი ტელეოპერისა—“გამზრდელი(საკავშირო კონკურსზე პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა)” და “გაზაფხული ზღაპრისა”. მასვე ეკუთვნის საბავშვო ოპერა-რევიუ “გვიხმობენ ზარები” და ოპერა “გალობანი სინანულისანი”, სიმფონიური პოემა “გზა ვარსკვლავებისკენ”, კამერული სიმფონია “ხევესურული ესკიზები”, კონცერტი ფაგოტისა და სიმებიანი ორკესტრისათვის, საგუნდო ნაწარმოებები, საგალობლები და სხვა. ირაკლი გიგაურმა კონსერვატორიამდე ნიჭიერთა ათწლედი დაასრულა, კონსერვატორიის შემდეგ, მუშაობდა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე და კინოსტუდია “ქართული ფილმის” მუსიკალურ განყოფილებაში. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და პრემია. მუშაობდა სხვადასხვა ანსამბლებთან საკონცერტო პროგრამებზე და გასტროლებით 114 ქვეყანა მოიარა. ახლა საესტრადო სიმღერები? ისეთები, რომლებსაც ყავლი არ გასდით და დღესაც ბევრი ანსამბლის რეპერტუარშია: “აპრილი მოდის”, “ზღვისფერი გაქვს თვალები”, “მე თბილისელი ბიჭი ვარ”, “ნუ შეგაშინებს ჩემი ჭაღარა(ნ. გიგაური)”, “მე ვარ თამადა ამ სუფრაზე”, “მოდის დამხატე”, “პაპანაქება ზაფხულში(ი. გიგაური)”, ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია მათი საოცარი შემოქმედებისა. გახსოვთ, ლებანიძის ნათქვამი—“ნიჭია, ნიჭი მთავარი”... უფალმა მართლაც უშურველად მისცა ნიჭი და ტალანტი ძმებს. მათაც არ “გაფლანგეს” ეს მაღლი და ქართული მუსიკალური კულტურა მრავალმხრივ გაამდიდრეს.

აი, ასეთ ადამიანებს ზრდიდა და ზრდის ჩვენი ქალაქი. ზრდის და შემდეგ საქართველოს ჩუქნის, რომ მათი ტალანტით მთელმა ქვეყანამ იამაყოს.

გოგი გოგოლაძე

მვირფასო ხაშურელებო, ფეხბურთის ქომაგებო!

როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილებით, 2022 წლის 15 ივნისს რეგიონული ლიგის ეგიდით ს.კ. ხაშურის „ივერიისა“ და ს.კ. „გლდანს“ შორის გამართული მატჩის მიმდინარეობისას მომხდარი ინციდენტის გამო, საფეხბურთო კლუბ ხაშურის „ივერიას“ ჩაეთვალა წაგება ანგარიშით 0:3 და დაეკისრა 4 საშინაო მატჩის მაყურებლის გარეშე გამართვა ფულად ჯარიმისთან ერთად. საფეხბურთო კლუბ „გლდანს“ ჩაეთვალა წაგება ანგარიშით 0:3 და ასევე დაეკისრა ფულადი ჯარიმა.

ხაშურის „ივერიისა“ და „გლდანის“ რამდენიმე ფეხბურთელს კი დაეკისრათ ფულადი ჯარიმა და რამდენიმე მატჩიანი დისკვალიფიკაცია. კომიტეტის გადაწყვეტილებამ სოციალურ ქსელებსა და კერძო საუბრებში გულშემატკივრების აჟიოტაჟი გამოიწვია.

ჩვენ აბსულუტურად გვესმის და სრულიად ვიზიარებთ გულშემატკივართა გულისტკივილს, განსაკუთრებით 4 საშინაო მატჩის მაყურებლის გარეშე გამართვის გამო, თუმცა, აქვე სრული პასუხისმგებლობით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი დაკომპლექტებულია კვალიფიციური პროფესიონალებისგან და მათი გადაწყვეტილების მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გაგვაჩნია.

ვინაიდან ფეხბურთი ჩვენი ქალაქის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, რაც ცალსახად მისასალმებელია, გვსურს გულშემატკივართა მიემართოთ უდიდესი თხოვნით, ყოველთვის თავი შეიკავონ იმგვარი ქმედებისგან, რამაც შეიძლება უპირველეს ყოვლისა და აზარალოს გუნდის ინტერესი, და აქედან გამომდინარე, ზიანი მოუტანოს მაყურებელსაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ს.კ. ხაშურის „ივერიისა“ და ს.კ. „გლდანს“ შორის გამართულ მატჩს ესწრებოდა 22 პოლიციელი. ეს რაოდენობა სავსებით საკმარისია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სწორედ მათი ძალისხმევით შედეგია, რომ 15 ივნისის ინციდენტი მინიმალურ დროში და მინიმალური ზიანით დასრულდა ორივე გუნდის გულშემატკივართათვის. ზედმეტად მიგვაჩნია, ვინმე შევასხენოთ მარტივი ჭეშმარიტება, რომ პოლიცია საქმიანობის ფარგლებში სხვადასხვა ამოცანების შესრულებით არის დაკავებული და ფიზიკურად შეუძლებელია, რომ სტადიონზე მისულ თითოეულ გულშემატკივარზე თითო სამართალდამცავი გამოიყოს. ჩვენ გულწრფელად გვჯერა, რომ ჩვენი ქომაგების ერთგულება „ივერიის“ მიმართ მათ ემოციებზე მაღლა დგას.

საჭიროდ ვთვლით, კიდევ ერთხელ განვაცხადოთ, რომ 15 ივნისის მატჩზე მოხილავებული იყო სასწრაფო დახმარება. აქაც გვექნება უდიდესი თხოვნა ყველა პირის, მათ შორის მედიის წარმომადგენლების მიმართ: ნუ გავავრცელებთ გადაუმოწმებელ ინფორმაციას. გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება ხელს უწყობს არასწორ ინტერპრეტაციებს, რაც, საბოლოო ჯამში, ისევ საფეხბურთო გუნდზე აისახება უარყოფითად.

სრულ თანადგომას ვუცხადებთ ჩვენი “ივერიის” თითოეულ ფეხბურთელს. იმედი გვაქვს, ინციდენტი არ აისახება მათ მოტივაციაზე. იმედი გვაქვს, რომ „ივერიასთან“ დაკავშირებით ჩვენი ყოველი შემდგომი განცხადება მხოლოდ პოზიტიური სიახლის მაუწყებელი იქნება.

წინ, შემდგომი გამარჯვებებისკენ!

მუნიციპალიტეტის მერია

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური განცხადება:

სოციალურ ქსელში შექმნილია ყალბი გვერდი, რომელიც იყენებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სახელს და ლოგოს.

მერიის სახელის გამოყენებით, ყალბი გვერდი მიზანმიმართულად ავრცელებს მცდარ ინფორმაციას, თითქოს ხაშურის მუნიციპალიტეტი გეგმავს ორენოვანი აბრების ინგლისური ტექსტის შეცვლას რუსული ენით, აღნიშნული ინფორმაცია მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

ვაცხადებთ სრული პასუხისმგებლობით, გვერდი ყალბია, არ ეკუთვნის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას (და არა გამგეობას, როგორც გვერდი აქვეყნებს), საკრებულოს ან რომელიმე სამთავრობო უწყებას.

ყალბია გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია.

მივმართავთ საზოგადოებას, ენდეთ მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ გვერდს, (<https://www.facebook.com/KhashuriCity-Hall>) არ მოექცეთ ყალბი ინფორმაციის გამავრცელებლების გავლენის ქვეშ.

ღია წერილი მიხეილ სააკაშვილის სახალხოდ დამკველს ნინო ლომჯარიას

ნინო, შენ შემოგვევლოს ჟენია ბიცილა, ბევრი ვიფიქრე, მომეწერა თუ არა ეს წერილი, მარა შენს იქით გზა არ მაქვს და სხვა რაღა დამრჩენია? ბევრი ლაპარაკი მე არ მიყვარს და ამას ჩემი მეზობლებიც დაგეგმან...

ესე იგი ცუდადაა საქმე, მოკლედ, საზღვარგარეთ მკურნალობა სჭირდება და თანაც სასწრაფოდ. ბადენ-ბადენს აქებენ მალიან, იქაური ჰავა ხველას უხდებაო. მარა, თუ ბადენ-ბადენი არ გამოვიდა, იყოს პალმა დე მალიორკა ან იბიცა...

ჩემი სოფლის თავში რომ ცხოვრობს მარო კაკაურიძე, იმან მითხრა, ტყუილად წერ მაგ წერილს, ნინო ლომჯარიას, მიმას გარდა, სხვა პატიმარი ცხოვრებაში არ უნახავს...

მოკლედ, ახლა შენ ქე იცი ჩემი გაჭირვების ამბავი, მეც ვიცი, როგორი მზრუნველი ხარ ყველა პატიმარზე და აბა შენ იცი!

P.S. ეს საქმე რომ გაკეთდება, ბიცილა შემოგვევლოს, კაი გაპიწვინებული მქადები, ყვითელ სიმინდზე გაზრდილი, ისრიმ მაყვალში ჩადებული ვარები და ხაჭაპურები, ქე რომ ყველი ბლავა შიგნით, ჩემზე იყოს.

პატივისცემით და სიყვარულით,

ჟენია ბუცხრიკიძე,

ზემო იმერეთი, სოფელი ჩხიკვათგვერდი (წერილი, საგაზეთოდ, მოამზადა გოგი გოგოლაძემ)

ფეხბურთი ჰამაკში

ხაშური, რომელიც საქართველოს შუაგულში მდებარე, ბევრისთვის პირველ ყოვლისა ლამაზი ჰამაკებით ცნობილი ქალაქია, მთელი მიმდინარე თვეა ფეხბურთით იქცევა...

1 ივნისს, აქ დიდი ხნის ნანატრ ახალ სტადიონზე გახსნის მატჩი რომ ჩატარდა, ფოტო და ვიდეო ამბებით, თუ ექ. "ლაივებით" მთელი საქართველოს სპორტულმა გულშემბატოვებმა ნახეს ხაშურის სტადიონის სახვცეცხე ტრიბუნები და საკმაოდ აქტიური ქომავლობა.

ორი კვირის შემდეგ, 15 ივნისს, ამ სტადიონზე მეორე საშინაო მატჩი გამართა ადგილობრივმა "ივერიამ". ტრიბუნები ისევ სახვცეცხე იყო, ისევ აქტიური გახლადით ქომავლობა, მაგრამ ბოლოს სამწუხარო ინციდენტი მოხდა... და სადისციპლინო კომიტეტის ვერდიქტით, ამ სტადიონზე 4 მატჩი უმაყურებლოდ უნდა ჩატარდეს.

მივყვით თემას ცოტა უფრო ვრცელად. მოყოლილს მუდამ ნანახი სჯობს და მეც, მინდოდა დავსწრებოდი ხაშურის ახალ სტადიონზე გახსნის მატჩს - ვავემზავრე კიდეც ამერ-იმერის გასაყარზე მდებარე



თამაშზე ყოფნას ვერ შევძლებდი. ამიტომაც, "ივერია"-ს გლდანის პერიპეტეებს მხოლოდ ადგილობრივი სპორტული გვერდიდან, ინტერნეტით ვაძენვე თვალი.

ინციდენტი, რაც ამ მატჩზე მოხდა ტელევიზიითა თუ სოციალური ქსელების მეშვეობით ყველამ ნახა. მეც დეტალებს აღარ ჩავუღრმავდები. უბრალოდ, ძალიან დასანანია, რომ საფეხბურთო კუთხით ხაშურის აშკარად გააქტიურება ასეთი უსიამოვნო ამბით შეფერხდა.

18 ივნისს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის სხდომაზე, ხაშურის სტადიონზე მომხდარ ინციდენტზე იმსჯელეს. კომიტეტის გადაწყვეტილებით ორივე გუნდს ჩეთვა ჯარიმები 0:3 და დაეკისრა თუ ღულადი ჯარიმა. ამას გარდა, ხაშურის "ივერია" 4 საშინაო მატჩს მაყურებლის გარეშე ჩაატარებს, ორივე გუნდის ჯამში 5 ფეხბურთელი რამდენიმე მატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის და ფულად ჯარიმას გადაიხდის.

ფეხბურთელების დისკვალიფიკაცია და გუნდების ფულადი ჯარიმები, რა თქმა უნდა, მტკივნეულია ორივე გუნდისთვის, მაგრამ გულწრფელად რომ ვთქვა, მე ამ სტადიონზე უმაყურებლოდ ჩასატარებელი მატჩების რაოდენობა უფრო მეტვერა. ვფიქრობ, 4 თამაში ბევრია. ათასობით აქაურ გულშემბატოვარს, რომელთაც "ივერიას" მომდევნო ტურის მატჩები კალენდრებზე მოენიშნა, ზაფხულში ბურთაობის ცოცხლად ხილვაზე უარის თქმა მოუწევს.

მოგესხენებათ, ერთ ხელზე თუ ჩამოვიტოვო საქართველოში ისეთი სტადიონებს, სადაც ყოველ მატჩზე 2 ათასზე მეტი მაყურებელი მოდის. გასათვალისწინებელია, რომ ხაშური, პატარა ქალაქია, 25 ათასამდე მოსახლით და სტადიონის ტევადობა რის საშუალებასაც იძლევა, ადგილობრივი ქომავი იმასაც ავსებს და ბევრი ღობის გარედანაც ადევნებს თვალს შეხვედრებს.

თუმცა ვერდიქტი ვერდიქტია. ხაშურში ამას გულდაწყვეტილნი, ოღონდ მთავარი მიზნისთვის საბრძოლველად უფრო შეგულიანებულნი და შემართულნი შეხვდნენ.

22 ივნისს "ივერიამ" მორიგი ტურის მატჩში, ახალციხეში "სამცხესთან", ბუნებრივია, სადისციპლინო კომიტეტის მიერ დისკვალიფიციურებული ძირითადი შემადგენლობის 3 ფეხბურთელის გარეშე ჩაატარა, ცნობილი ინციდენტისას დაშავებული მოთამაშე ჯერაც მკურნალობს. სრულად ადგილობრივებით დაკომპლექტებულ, რეგიონის გუნდს, როცა ამდენი ფეხბურთელის იძულებითი დანაკლისი აქვს, მხოლოდ დიდი შემართების ხარჯზე თუ შეუძლია სატურნირო ცხრილში კონკურენტს მისსავე სტადიონზე მოუგოს. დიახ, "ივერიამ" დამაბულ ბრძოლაში 3:2 გაიმარჯვა და განაგრძობს ბრძოლას მთავარი მიზნისათვის.

ამასობაში, ქალაქი, სადაც სტადიონის არქონის გამო, უკანასკნელი 10 წელიწადი, საშინაო თამაშების გამართვის, ტრიბუნებზე მაყურებლის "მართვის", წესრიგის სრულყოფილად დაცვის და სხვა დეტალების გათვალისწინებით, მასპინძლობის პრაქტიკა არ ჰქონდა, კიდეც უფრო შეიძენს გამოცდილებას (ცარიელი ტრიბუნებით მასპინძლობასაც ცოდნა უნდა), ამახელა დადებითი ემოციიდან (და ცოტა ეიფორიიდანაც) უფრო გამოვა და დარწმუნებული ვარ, კიდეც უკეთეს საფეხბურთო გარემოს შექმნის.

ფეხბურთი ჰამაკში დიდ ხანს არ უნდა გაჩერდეს. დასვენება აქაურ გულშემბატოვრებს იმ 10 წლიანი უქმობისასაც ეყოთ...

ვასილ ბალახაძე

ქალაქში.

არენაზე მისვლამდე, რამაც გამაოცა და ეს, მაშინ ჩვენივე გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაშიც აღვნიშნე, იყო ის, რომ უკვე სტადიონთან მიახლოებისას ქუჩებიდან ხალხის ნაკადი ჯგუფ-ჯგუფად მიემართებოდა. ტრიბუნა, რომელიც 2 200 მაყურებელს იტევს, თამაშის დაწყებამდე ბევრად ადრე შეივსო. მაყურებელი აქტიურად, საზეიმო განწყობით და დიდი ენთუზიაზმით ელოდა თამაშის დაწყებას.

სპორტის ნებისმიერი მოყვარული გაიხარებდა იქ არსებული გარემოთი და მეც კმაყოფილმა დავტოვე სტადიონი. ფეხბურთის ადგილობრივ მესვეურებს კი გულწრფელად გამოვუტყვი, რომ ეს ატმოსფერო, რაც არამარტო სტადიონზე, არამედ ზოგადად, ხაშურში პირველი მატჩისას ვნახე, რანგით მეხუთე (რეგიონულ) ლიგას აღარ იმსახურებს და ზედა ლიგაში ასახვლელად მათ ყველაფერი უნდა გავკეთებინათ.

ხაშურელებს ლიგა 4-ში გადასვლის სურვილი, ცხადია, ჩემი სიტყვების მერე არ გასჩენიათ, ისინი საამისოდ მომართულები რომ იყვნენ სატურნირო ცხრილიდანაც ჩანდა. სწორედ იმ მატჩში თავად სამეულში მყოფებმა, ცხრილში მეზობელი "ვარკეთილი 2" დაამარცხეს 2:1.

მომდევნო საშინაო შეხვედრა "ივერიას", საკუთარ სტადიონზე 15 ივნისს, "გლდანთან" უწევდა. ეს თბილისური გუნდიც რეგიონული ლიგის ლიდერი გახლავთ და მასაც მაღალ ლიგაში აღზევება აქვს გულში ამოჭრილი. სატურნირო ცხრილისთვის თვალის შევლება, წინასამატჩო ინტრიგას აშკარას ხდიდა და ქომავი რომ სტადიონს კვლავ შეავსებდა, თავიდანვე მოსალოდნელი იყო.

ვიზიდან, თავად საქართველოს ყველა საფეხბურთო ლიგის და საერთოდაც, სპორტის არაერთი სახეობის შეჯიბრებებზე (ძირითადად რეგიონებში) მიწევს სიარული. ცხადია ხაშურშიც (მიუხედავად აქაურთა დიდი პატივისცემისა) ყველა

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. ღირეექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail: Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.